

პრეზიდენტი

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების კონგრესის გზამკვლევაში ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შეწყვეტის საკითხებზე.

არსებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ დაახლოებით ერთი ბავშვი ხუთიდან ხდება ევროპაში ამა თუ იმ ფორმის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, რაც ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველაზე ამაზრზენი ფორმაა.

ევროპის საბჭოს კამპანია „ერთი ხუთიდან“ მიზნად ისახავს იმუშაოს ამ საკითხზე ცნობიერების ამაღლების გზით. ასევე ხელი შეუწყოს პოლიტიკისა და სტრატეგიის განვითარებას, რათა აღჭურვოს ბავშვები, მათი ოჯახები/მომვლელეები, მთავრობები და ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები ცოდნითა და მეთოდებით, რათა მათ შეძლონ ბავშვების დაცვა სექსუალური ძალადობისა და გარყვნილი ქმედებისაგან და ამ დანაშაულის პრვენცია. ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, საპარლამენტო ასამბლეა და ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების კონგრესი ურთიერთთანამშრომლობენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ კანონმდებლობისა და პოლიტიკის შეცვლა ბავშვთა დაცვის მიზნით.

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, რომ დაიფარონ და დაიცვან ბავშვებისა თუ ახალგაზრდების უსაფრთხოება და კეთილდღეობა. ხოლო ამ საქმეში იმუშაონ პარტნიორებთან ერთად, როგორცაა მესამე სექტორი, საჯარო ორგანიზაციები თუ კერძო სექტორი. ევროპის ქალაქებისა და რეგიონების ამოცანაა, აამაღლოს ცნობიერება ამ საკითხზე, განავითაროს და განახორციელოს საზოგადოებაზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები, ჩადოს ინვესტიციები უკეთესი სამსახურების შექმნაში.

კონგრესმა შეიმუშავა პაქტი ქალაქებისა და რეგიონებისათვის ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესაწყვეტად, რომელიც გვთავაზობს ზომებსა და სტრატეგიებს მარტივი, ნაკლებად ხარჯიანი ინიციატივებიდან დაწყებული, ყოვლისმომცველი პოლიტიკით დამთავრებული, რომელთა სასარგებლოდ განხორციელებაც შესაძლებელია კამპანიის მიზნების მისაღწევად. ერთ-ერთი ღონისძიება, რომელსაც პაქტი გვთავაზობს, არის ბავშვთა დაცვის მულტიდისციპლინური ცენტრების დაარსება, რისი მაგალითებიც უკვე არსებობს რამდენიმე ქალაქში.

კონგრესმა მოამზადა ეს გზამკვლევი, რომელიც ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს, გაერთიანებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და სხვა მონაწილე მხარეებს სთავაზობს წინადადებებს პოლიტიკის, სტრატეგიისა და საშუალებების კუთხით, რათა თავიდან აიცილონ ძალადობა, დაიცვან მსხვერპლნი, გაასამართლონ დამნაშავეები და უზრუნველყონ ბავშვების მონაწილეობა მთელს პროცესში. გზამკვლევი არ არის ამომწურავი, უფრო შესავალს დავარქმევდით, თუმცა გვთავაზობს არა ერთ სასარგებლო

იდეას, რაც დაგვეხმარება ბავშვების უსაფრთხოდ დაცვაში სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისაგან.

ჩაუღრმავდით ამ გზამკვლევს, რათა ისწავლოთ მეტი იმ ზომების შესახებ, რომელთა მიღებაც შესაძლებელია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის აღმოფხვრისათვის - და თავისუფლად გაუზიარეთ ინფორმაცია სხვებსაც!

მოგიწოდებთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ ბავშვთა მიმართ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში და ონლაინ მოაწეროთ ხელი კონგრესის პაქტს ქალაქებისა და რეგიონებისათვის ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესაწყვეტად: www.coe.int/congress-oneinfive.



ჯან-კლოდ ფრეკონ